

ცნობა

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტები განთავსდა საკრებულოს ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე, ამასთან განსახილველად გადაეცა საკრებულოს წევრებს, კომისიებსა და ფრაქციებს.

საკრებულოს ფრაქციების და კომისიების სხდომები გაიმართება შემდეგი გრაფიკით:

1. 2024 წლის 19 ნოემბერი 12:00 საათი- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
2. 2024 წლის 19 ნოემბერი 12:00 საათი-ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“;
3. 2024 წლის 20 ნოემბერი 12:00 საათი- ფრაქცია „ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“;
4. 2024 წლის 21 ნოემბერი 11:00 საათი- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია ;
5. 2024 წლის 21 ნოემბერი 12:00 საათი - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია;
6. 2024 წლის 21 ნოემბერი 14:00 საათი- საკრებულოს კომისიების (სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია, საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისია) ერთობლივი სხდომა.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნის, საკრებულოს სხვა კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს წევრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, იურიდიული პირების, მოქალაქეების წინადადებების, შენიშვნებისა და შეფასებების წარმოდგენა საკრებულოს აპარატში უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მ/წლის 25 ნოემბერისა. (მის.ქ. წალენჯიხა, სალიას ქ. N5 აპარატის უფროსი იზოლდა მოლაშხია. ტ. 599 85 71 02).

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ საკრებულოს სხდომის გამართვის თარიღი გეცნობებათ დამატებით.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი